შეთანხმება №323-1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2014 წლის 1 მაისის №323 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

თბილისი 22 მაისი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ, სს მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი გენერალური დირექტორის შოთა ჯოგლიძის სახით, თანხმდებიან მასზედ რომ 2014 წლის 1 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №323 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის „ხელშეკრულების ღირებულება“ პუნქტი 2.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 40,204.00 (ორმოციათას ორასოთხი) ლარს, მ.შ. თვეში გასაწევი მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 10,051.00 (ათიათას ორმოცდათერთმეტი) ლარს.“
2. მე-4 მუხლი „ხელშეკრულების ობიექტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში “0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგის“ მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“):
   4.1.1 0-6 წლამდე ასაკის და დღენაკლულ ბავშვთა გლობალური განვითარების, სასკოლო მზაობის შეფასებისა და პრობლემების იდენტიფიკაციის მიზნით უზრუნველყოფილ უნდა იყოს (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა - 960, შემდეგი სერვისის მიწოდება:
   ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება (ხელოვნური კოდი - 1312101, ერთეულის ღირებულება - 10 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 240;
   ბ) მხედველობის სკრინინგი (ხელოვნური კოდი - 1312102, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 112;
   გ) სმენის სკრინინგი (ხელოვნური კოდი - 1312103, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 112;
   დ) ფიზიკური განვითარების შეფასება WHO ზრდის მრუდების მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში ნუტრიციული სტატუსის შეფასება (ხელოვნური კოდი - 1312104, ერთეულის ღირებულება - 19 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 240;
   ე) მშობლის კონსულტირება ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხებზე (ხელოვნური კოდი -1312105 , ერთეულის ღირებულება - 3 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 240;
   ვ) საჭიროების შემთხვევაში - ნევროლოგის კონსულტაცია (ხელოვნური კოდი - 1312106, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 91;
   ზ) საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის კონსულტაცია (ხელოვნური კოდი - 1312107, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 64;
   თ) განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების განმეორებითი ვიზიტი - პაციენტებს, რომელთაც გამოუვლინდებათ განვითარებისა და/ან ქცევის დარღვევა შესაბამისი რეკომენდაციების და ინტერვენციულ პროგრამებში ჩართვის პარალელურად განმეორებით უნდა ჩაუტარდეთ განვითარების

შეფასება განვითარების პროგრესის მიზნით (ხელოვნური კოდი - **1312108**, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - **14**;

ი) 5-6 წლამდე ასაკის ყველა პაციენტთან - სასკოლო მზაობის ტესტი, ოფთალმოლოგის კონსულტაცია (უნდა განხორციელდეს: მხედველობის სიმახვილის განსაზღვრა) და სმენის ინსტრუმენტული სკრინინგი (ხელოვნური კოდი - **1312109**, ერთეულის ღირებულება - 4 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - **84**;

კ) დღენაკლულ ახალშობილთა განვითარების სკრინინგი ორჯერადად (ხელოვნური კოდი - **1312110**, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 10 ახალშობილი;

ლ) დღენაკლულ ახალშობილთა განვითარების მეორადი სკრინინგი (ხელოვნური კოდი - **1312111**, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) - საპროგნოზო რაოდენობა თვეში - **4**.

4.1.1.1. საპროგნოზო რაოდენობის ცვლილება თანხის თვის ლიმიტის ფარგლებში დასაშვებია.

4.1.1.2. გამოსაკვლევი პირებისთვის პირველადი სკრინინგის ჩატარება ერთჯერადად, მაგრამ პაციენტებს, რომელთაც გამოუვლინდებათ განვითარებისა და/ან ქცევის დარღვევა შესაბამისი რეკომენდაციების და ინტერვენციულ პროგრამებში ჩართვის პარალელურად განმეორებით უნდა ჩაუტარდეთ განვითარების შეფასება განვითარების პროგრესის მიზნით;

4.1.1.3. სკრინინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი და შედეგების წარმოდგენა ეპიდემიოლოგიური ანალიზის სახით."

3. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, უცვლელი რჩება.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2014 წლის 1 მაისს №323 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

5. შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად, საიდანაც ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან" და ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	შპს „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო"
გენერალური დირექტორი:	დირექტორი:
_____ ამირან გამყრელიძე	_____ შოთა ჯოგლიძე
ბ. ა.	*ბ. ა.*